**ხელშეკრულება № 2016/47**
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
**(გამარტივებული შესყიდვა)**

ქ. თბილისი „22“ „მარტი“ 2016 წ.

**სსიპ „სმართ ლოჯიქი“**, შემდგომში წოდებული „შემსყიდველად“, წარმოდგენილი დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის **გიორგი მეჟლუმიანის** სახით და **შ.პ.ს „დელტა კომმი“**, შემდგომში წოდებული „მიმწოდებლად“, წარმოდგენილი დირექტორის **პაატა ქიქოძის** სახით, ორივე ერთად წოდებული როგორც „მხარეები“, ვმოქმედებთ, რა საქართველოს კანონმდებლობის და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ამავე კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს 2016 წლის 17 მარტის #940 განკარგულების საფუძველზე ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას:

**მუხლი 1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები**

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში - „ხელშეკრულება“) - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება“ - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3. „დღე“, „კვირა“, „თვე“ - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. „შემსყიდველი“ - პირი, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. „მიმწოდებელი“ - პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურების გაწევას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6. „მომსახურება“ - ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

1.7. „ინსპექტირება“ - ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლი და ზედამხედველობა.

**მუხლი 2. ხელშეკრულების საგანი**

2.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს შემსყიდველის მიერ მიმწოდებლისგან მონაცემთა შემნახველი მასივის ტექნიკური მხარდაჭერის სერვისის **(CPV-50300000)** სახელმწიფო შესყიდვა.

**მუხლი 3. ხელშეკრულების ღირებულება**

3.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს **68'640.00** (სამოცდარვაათას ექვსასორმოცი ლარი) ლარს.

**მუხლი 4. მხარეთა ვალდებულებები**

4.1. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს მონაცემთა შემნახველი მასივის - "IBM Total Storage DS5100" ტექნიკური მხარდაჭერა, კერძოდ არსებული გაუმართაობის აღმოფხვრა, საგარანტიო პირობებში მოცემული პირობების შესაბამისად.

ბ) განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე, აგრეთვე დაუყოვნებლივ უზრუნველყოს აღმოჩენილი ხარვეზის გამოსწორება;

გ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

4.2. შემსყიდველი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს ინსპექტირების განხორციელება;

ბ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

## მუხლი 5. გარანტია

5.1. მონაცემთა შემნახველ მასივზე - "IBM Total Storage DS5100" მიმწოდებელი ავრცელებს მწარმოებლისგან საგარანტიო მომსახურების უფლებას ხელშეკრულების გაფორმებიდან 2017 წლის 1 მარტის ჩათვლით.

5.2. გარანტიის მოქმედების პერიოდში, მოწყობილობის დაზიანების შემთხვევაში მიმწოდებელი ვალდებულია 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში შეაკეთოს ან შეცვალოს იგი ახლით. უნდა განახორციელოს განახლებებზე წვდომა და მწარმოებლის ტექნიკური მხარდაჭერა. ასევე, გარანტიის მოქმედების პერიოდში მიმწოდებელმა (შემსყიდველის მოთხოვნის შემთხევაში) უნდა უზრუნველყოს ტექნიკაზე კვალიფიციური საკონსულტაციო მომსახურება.

## მუხლი 6. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

6.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ჩაატაროს ინსპექტირება, რისთვისაც გამოყოფს უფლებამოსილ პირს/პირებს, ხოლო მიმწოდებელი ვალდებულია ხელი შეუწყოს მას/მათ ინსპექტირების განხორციელების დროს.

6.2. ინსპექტირებას განახორციელებენ სსიპ „სმართ ლოჯიქის" სერვერული და ქსელური ინფრასტრუქტურის დეპარტამენტის უფროსი სისტემური ადმინისტრატორი ნიკოლოზ ჩხიკვიშვილი და ამავე დეპარტამენტის სისტემური ადმინისტრატორი დავით გოქაძე, რომლებიც უფლებამოსილები არიან ინსპექტირება განახორციელონ როგორც ინდივიდუალურად, ასევე ერთობლივად.

6.3. შემსყიდველის მიერ ინსპექტირება განხორციელდება ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე.

6.4. შემსყიდველის შესაბამისი წარმომადგენელი (წარმომადგენლები, მოწვეული ექსპერტი) უფლებამოსილია ჩაატაროს ხარისხის კონტროლი და თუ მომსახურებას აღმოაჩნდება წუნი, მიმწოდებელი ვალდებულია დაუყოვნებლივ გამოასწოროს წუნი.

## მუხლი 7. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

7.1. მომსახურების მიღება წარმოებს მიღება-ჩაბარების აქტის სახით. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით, ინსპექტირების განმახორციელებელი პირის/პირების დადებითი დასკვნის საფუძველზე.

## მუხლი 8. ანგარიშსწორება

8.1. ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:

ა) ანგარიშსწორების ვალუტა - ლარი;

ბ) ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად;

გ) დაფინანსების წყარო: **სსიპ „სმართ ლოჯიქის" საკუთარი სახსრები**.

8.2. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს გაწეული მომსახურების ღირებულება მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმებიდან და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში. თუკი ანგარიშსწორების განხორციელების ვადის ბოლო დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, მაშინ ანგარიშსწორების განხორციელების ბოლო ვადა გადაიწევს მომდევნო სამუშაო დღეს.

## მუხლი 9. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

9.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ, რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

9.2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით, ხელშეკრულების მე-11 მუხლის შესაბამისად.

## მუხლი 10. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

10.1. ხელშეკრულების მე-5 მუხლით განსაზღვრული ვადების დარღვევის შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.1%-ის ოდენობით.

10.2. ხელშეკრულების 6.4. პუნქტით განსაზღვრული წუნის გამოსწორების ვადის დარღვევის შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ასეთ შემთხვევაზე ხელშეკრულების ღირებულების 0.1%-ის ოდენობით.

10.3. ხელშეკრულების 8.2 პუნქტით განსაზღვრული გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებელი უფლებამოსილია დააკისროს შემსყიდველს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადაუხდელი თანხის 0.1%-ის ოდენობით.

10.4. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელზე დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 2%-ს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

10.5. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.

## მუხლი 11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1. ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით.

11.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

11.3. ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთ,ვის გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398- ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

11.4. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში დაუშვებელია თავდაპირველად დადებული ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

## მულხი 12. დავების გადაწყვეტა

12.1. ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკების გზით.

12.2. ამ ხელშეკრულების 12.1. პუნქტით გათვალისწინებული მოლაპარაკების შედეგად შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადაწყვეტის მიზნით, მხარეებს შეუძლიათ, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად მიმართონ საქართველოს სასამართლოს.

## მუხლი 13. ხელშეკრულების შეწყვეტა

13.1. შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

13.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებისაგან.

13.3. ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

## მუხლი 14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

14.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და (გარდა ხელშეკრულების მე-5 მუხლი, 6.4, 10.1, და 10.2. პუნქტების) მოქმედებს 2016 წლის 1 მაისის ჩათვლით.

14.2. ხელშეკრულების მე-5 მუხლი, 6.4, 10.1, და 10.2. პუნქტები მოქმედებს მე-5 მუხლით გათვალისწინებული ვადის ამოწურვამდე.

## მუხლი 15. ფორს-მაჟორი

15.1. წინამდებარე ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით.

15.2. მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან, და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, მოწოდებულ საქონელზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

15.3. მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან.

## მუხლი 16. სხვა პირობები

16.1. ხელშეკრულება შედგენილია სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, ქართულ ენაზე, აქედან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს, ხოლო ორი - შემსყიდველს.

## მუხლი 17. მხარეთა რეკვიზიტები:

**შემსყიდველი:**

**სსიპ „სმართ ლოჯიქი"**,
წარმოდგენილი დირექტორის
მოვალეობის შემსრულებლის
**გიორგი მეჟლუმიანის** სახით,
**მისამართი:** თბილისი, გორგასლის ქ. 24ა,
**ტელეფონი:** 240 51 60,
**საბანკო რეკვიზიტები:**
ანგ. №GE24NB0330100200165022,
სახელმწიფო ხაზინა, კოდი TRESGE22,
სკ - 206350599

**მიმწოდებელი:**

**შპს „დელტა კომმი"**
წარმოდგენილი დირექტორის
**პაატა ქიქოძის** სახით,
**მისამართი:** ქ.თბილისი, გაფრინდაშვილის #2
**ტელეფონი:** 577 585889
**საბანკო რეკვიზიტები:**
ანგ. № GE38TB0700000001467528,
ბანკი: ს.ს. "თიბისი ბანკი"
კოდი: TBCBGE22
სკ - 204991795

---

---